

ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 168

„23“ თებერვალი 2016 წ.

ქ.თბილისი

1. ხელშეკრულების მხარეები

ერთი მხრივ, საქართველოს საგარეო ურთიერთობების მინისტრის იურიდიული პირი-ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი დირექტორის გიორგი თავაძის სახით, (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ, -----

„ს.ს.ს. დ. ე. ს.“ ----- დირექტორის ----- „ს. ავთოიანი“ სახით, (შემდგომში „მიმწოდებელი“), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების ობიექტი და საგანი

- 2.1. ხელშეკრულების ობიექტი და საგანია დანართი №1 გათვალისწინებული საქონლის შესყიდვა.
- 2.2. ხელშეკრულების №1 დანართი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

ხელშეკრულების ჯამური ღირებულება განისაზღვრება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში და შეადგენს 2110.00 ლარს, და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადსა და მოსაკრებელს.

4. მიწოდების ვადები და ადგილი

- 4.1. მიმწოდებელი აწვდის საქონელს შემსყიდველს ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან არაუგვიანეს 15 სამუშაო დღისა.
- 4.2. საქონლის მიწოდების ადგილია მიმწოდებლის ადგილსამყოფელი.

5. ხელშეკრულების ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

- 5.1. მიმწოდებელი ვალდებულია საქონლის მიწოდებისას თან დაურთოს საქონლის თანმხლები დოკუმენტაცია.
- 5.2. საქონლის გადაცემა დასტურდება მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტითა და სასაქონლო ზედნაღებით.
- 5.3. შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლება მიეცეს შემსყიდველი ორგანიზაციის შესყიდვების კოორდინატორს დ. ჯალალანიას (პირადი № 01024048441)
- 5.4. მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერამდე ყველა ქონებრივი უფლება საქონელზე ეკუთვნის მიმწოდებელს, ხოლო ხელმოწერის მომენტიდან აღნიშნული უფლება გადადის შემსყიდველ ორგანიზაციაზე.
- 5.5. საქონლის გადაცემის დღედ მიიჩნევა მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერის დღე.

6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადა

- 6.1. მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით საქართველოს ეროვნულ ვალუტაში.
- 6.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია საქონლის გადაცემის დღიდან არაუმეტეს 15 საბანკო დღისა აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯამური ღირებულება.

7. მხარეების უფლება-მოვალეობანი

- 7.1. მიმწოდებელი ვალდებულია:
 - 7.1.1. შემსყიდველ ორგანიზაციას დათქმულ დროზე მიაწოდოს საქონელი, რომელიც აკმაყოფილებს სტანდარტებს.
 - 7.1.2. მის მიერ საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების (მათ შორის უზარისხოდ, არასრული მოცულობით, საჭირო დოკუმენტაციის გარეშე) მისაწოდებელი საქონლის 0,1% ყოველ გადაგაცილებულ დღეზე.
 - 7.1.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოითხოვოს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების დათქმულ ვადაში ანაზღაურება.
- 7.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია:
 - 7.2.1. მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში აუნაზღაუროს ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში.
 - 7.2.2. მიმწოდებლისაგან მიიღოს საქონელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.
 - 7.2.3. ანგარიშსწორების ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს გადაუხადოს პირგასამტეხლო ყოველ გადაგაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,1 პროცენტის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს ხელშეკრულების ღირებულების 2%-სა.
- 7.3. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია:
 - 7.3.1. მიმწოდებლისგან ითხოვოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონლის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და ადგილზე მიწოდება.
 - 7.3.2. მოითხოვოს ხელშეკრულების 7.1.2. ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.
- 7.4. თითოეული მხარე ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

8. სუბკონტრაქტორები

